



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობა

ორგანიზაციის დებულება

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
STUDENT SELF-GOVERNANCE

ARTICLES OF ORGANIZATION

- 2020 -

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

მუხლი 2.

1. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 (ორი) წლის ვადით არჩეული 140 (ას ორმოცი) დელეგატისაგან.

მუხლი 3.

1. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია.

მუხლი 4.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179, თსუ-ის ადმინისტრაციული I კორპუსი, ოთახი №213.

მუხლი 5.

1. სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, აქვს საკუთარი ბეჭედი, შტამპი და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.

მუხლი 6.

1. წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) ფაკულტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

ვ) ფაკულტეტის საბჭო - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისაგან;

ზ) საფაკულტეტო საბჭო - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგად გამარჯვებული/არჩეული დელეგატებისაგან;

თ) საერთო კრება - სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან არჩეული (ჯამში 140) დელეგატებისაგან;

ი) პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

კ) თავმჯდომარე - კონკრეტული ფაკულტეტის/ცენტრალური დეპარტამენტის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ექვემდებარება პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს;

ლ) დეპარტამენტი - კონკრეტულ სფეროში (განათლება და მეცნიერება, კულტურა, სპორტი, ტურიზმი სხვ.) დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო;

მ) ორგანიზაციის დებულება - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

მუხლი 7.

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ) განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართულობას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში, აამაღლოს მათი პროფესიული ცნობიერების დონე და გაამრავალფეროვნოს მათი სტუდენტური ცხოვრება.

მუხლი 8.

1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) საჭიროებისამებრ ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ან/და წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის, გამოცდილების მიღების, ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისა და განტვირთვის მიზნით შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ

თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ე) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან/გაერთიანებებთან;

თ) გაწევრიანებულია ევროპის სტუდენტურ გაერთიანებაში (European Students' Union) 2019 წლის დეკემბრიდან. ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებს მრავალ საერთაშორისო, გაცვლით ღონისძიებებს სტუდენტებისათვის;

ი) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმალესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9.

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი (სტუდენტური პროექტების დაფინანსების კომისია);

ბ) უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული ფინანსები (სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო ორგანოები).

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

მუხლი 10.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის თავისი ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად და მისი გაწვევა დაუშვებელია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 11.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება არჩევიდან მომდევნო მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების პირველ სხდომამდე.

მუხლი 12.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული დელეგატების პირველი შეკრებისთანავე (საერთო კრება).

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ) უნივერსიტეტის წესდების ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

ე) არასაკმაყოფილო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ინიციატივა, თუ მას მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3 (94 ხმა);

თ) სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ის (35 დელეგატი) ინიციატივა, თუ მას მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის 2/3 (94 ხმა);

ი) გარდაცვალება.

მუხლი 13.

1. დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს შესაბამის ფაკულტეტზე სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეთა შორის ყველაზე მეტი ხმის მქონე სტუდენტი.

2. წინამდებარე დებულების 13.1 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტის არარსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეწყვეტილი დელეგატის ადგილს იკავებს სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრი, რომელსაც დელეგატის სტატუსს ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. დელეგატის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სტუდენტური თვითმმართველობის იმ აქტიურ წევრს, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში.

მუხლი 14.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

გ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

დ) დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა;

ე) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

ვ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;

ზ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

თ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების, ფაკულტეტისა და საფაკულტეტო საბჭოების სხდომებს.

მუხლი 15.

1. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრები, რომელთა რაოდენობაც შეუზღუდავია. მათ არ გააჩნიათ სათათბირო ხმის უფლება. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

თავი IV

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

მუხლი 16.

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- გ) სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია;
- დ) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია;
- ე) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი;
- ვ) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოები;
- ზ) სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები;
- თ) სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურები.

მუხლი 17.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება და საფაკულტეტო საბჭოები სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებია.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციები და დეპარტამენტები სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პრეზიდენტის აპარატი სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანოებია.

თავი V

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

მუხლი 18.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

მუხლი 19.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობებათ საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

მუხლი 20.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.

მუხლი 21.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 22.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

ა) ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტებს;

გ) სრული შემადგენლობის 2/3-ით (94 ხმა) ამტკიცებს ან ცვლილებები შეაქვს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში.

თავი VI

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

მუხლი 23.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

მუხლი 24.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არანაკლებ 1/3-ს (47 დელეგატი).

3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა დელეგატთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით (94 ხმა).

მუხლი 25.

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისათვის ხმათა საკმარის რაოდენობას, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 26.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი უნდა იყოს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი, რომელიც არის ქმედუნარიანი და არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 27.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 28.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ე) გარდაცვალება.

2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 29.

1. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს (47 დელეგატი) შეუძლია საერთო კრების დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4 (105 ხმა).

მუხლი 30.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებასა და სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაციის კრებას;

გ) უძღვება საერთო კრებისა და სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაციის სხდომებს;

დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;

ვ) ხელს აწერს საერთო კრებისა და სტუდენტური თვითმმართველობის ადმინისტრაციის კრების სამართლებრივ აქტებს;

ზ) მიზანშეწონილად მიიჩნევის შემთხვევაში ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გადავადებას არაუმეტეს ექვსი თვისა და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ ადმინისტრაციას;

თ) სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის ფარგლებში არსებულ სტუდენტური პროექტების დაფინანსების კომისიას;

ი) სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ ადმინისტრაციასთან ერთად განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს და წარუდგენს მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსახილველად;

კ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

ლ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებს;

მ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტები და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობებიდან;

ნ) აკომპლექტებს დეპარტემენტების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტების თავმჯდომარეებს/თავმჯდომარის მოადგილეებს;

ო) აკომპლექტებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატს;

პ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს და ნიშნავს მის წევრებსა და თავმჯდომარეებს;

ჟ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;

რ) ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;

ს) აყალიბებს სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად;

ტ) აცხადებს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს არჩევნებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;

უ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის წესდებას.

მუხლი 31.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 32.

1. უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით სტუდენტურ თვითმმართველობას ჰყავს მაქსიმუმ სამი ვიცე-პრეზიდენტი.

2. პირველი ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის განხორციელებას საფაკულტეტო საბჭოების დონეზე და უწევს მათ კოორდინაციას. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში, პირველ ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელი მოაწეროს და გააფორმოს ოფიციალური ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები.

3. მეორე ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების განხორციელებას დეპარტამენტების დონეზე და უზრუნველყოფს დეპარტამენტების კოორდინაციას.

4. მესამე ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების განხორციელებას სამსახურების დონეზე და უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურების კოორდინაციას.

მუხლი 33.

1. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვერ ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას გარკვეული მიზეზების გამო, მის მოვალეობას ასრულებს სტუდენტური თვითმმართველობის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

თავი VII

სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია

მუხლი 34.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი მართვის ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს და უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელებას საფაკულტეტო საბჭოების, დეპარტამენტების და სამსახურების დონეზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ ადმინისტრაციაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, ფაკულტეტების თავმჯდომარეები და მოადგილეები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები და მოადგილეები, სამსახურების უფროსები და მოადგილეები.

მუხლი 35.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის სემესტრულად განსახორციელებელი პროექტების ნუსხას.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების ინიცირებას, რომელიც უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ წინამდებარე დებულების 22.1 (გ) პუნქტის შესაბამისად.

3. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია იკრიბება არანაკლებ თვეში ორჯერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

4. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაციის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატების ან/და ცენტრალური ადმინისტრაციის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.

5. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს და წარუდგენს მათ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

6. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ადმინისტრაცია ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის წესდებას.

თავი VIII

სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია

მუხლი 36.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია არის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი მართვის ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს და უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელებას საფაკულტეტო საბჭოების, დეპარტამენტების და სამსახურების დონეზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაციაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე და მოადგილეები, დეპარტამენტების კოორდინატორები და მოადგილეები, სამსახურების უფროსები და მოადგილეები.

მუხლი 37.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს სტუდენტური თვითმმართველობის სემესტრულად განსახორციელებელი პროექტების ნუსხას.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია იკრიბება არანაკლებ თვეში ორჯერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაციის რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე დელეგატების ან/და საფაკულტეტო ადმინისტრაციის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით.

4. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებს და წარუდგენს მათ სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარეს.

5. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო ადმინისტრაცია ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის წესდებას.

თავი IX

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი

მუხლი 38.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი სტუდენტური თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, საჭიროების შემთხვევაში მობილიზებას უწევს ჟურნალისტთა კორპუსს, სტუდენტურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატს აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

- ა) კორესპონდენციების მიმართულება;
- ბ) იურიდიული მიმართულება;
- გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება.

მუხლი 39.

1. პრეზიდენტის აპარატი შედგება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ დანიშნული აქტიური წევრებისაგან, რომლებიც ეხმარებიან პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში.

2. პრეზიდენტის აპარატს ხელმძღვანელობენ:

- ა) პრეზიდენტის აპარატის უფროსი;
- ბ) პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე(ები).

მუხლი 40.

1. პრეზიდენტის აპარატის წერილების მიმართულება განიხილავს და ამზადებს სტუდენტური თვითმმართველობის სახელზე შემოსულ განცხადებებს, სხვა დოკუმენტაციასა და ხელმოსაწერად უგზავნის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტის აპარატის იურიდიული მიმართულება ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მომზადებას, მათ სისტემატიზაციასა და საჯაროობას, კონსულტაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებს სამართლებრივი აქტებისა და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებაში, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების გარკვევაში. თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

3. პრეზიდენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულება სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური

თვითმმართველობის საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში მობილიზებას უწევს ჟურნალისტთა კორპუსს.

თავი X

სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო

მუხლი 41.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო არის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტიდან სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს ხელმძღვანელობს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა პრეზიდენტის წარდგინებით საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხოლო მოადგილეებს წარადგენს საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებიც აირჩევიან საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 42.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტი საბჭოს თავმჯდომარე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობებათ საფაკულტეტო საბჭოს ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

2. საფაკულტეტო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საფაკულტეტო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

4. საფაკულტეტო საბჭოს სხდომებს უძღვება საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

5. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 43.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს იწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე საფაკულტეტო საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით;

გ) თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 44.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭო:

ა) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ თავმჯდომარის მოადგილეებს;

ბ) ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ წარდგენილ სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს სხდომათა მდივანს;

გ) ათავისუფლებს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და სხდომათა მდივანს დაკავებული თანამდებობიდან, სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობით;

დ) იღებს სტუდენტთა პროექტებსა და წინადადებებს, განიხილავს მათ და მიზანშეწონილობის შემთხვევაში უგზავნის თვითმმართველობის პრეზიდენტს;

ე) ოპერატიულად წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება ფაკულტეტზე და რომლებიც ითხოვს სწრაფ რეაგირებას;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას, უნივერსიტეტის წესდებას ან საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 45.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო საბჭოს შეკრება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

თავი XI
სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი

მუხლი 46.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების განხორციელებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. სტუდენტურ თვითმმართველობაში არსებობს ცენტრალური და საფაკულტეტო დეპარტამენტები.

მუხლი 47.

1. ცენტრალური დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრებისაგან, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის მართვას.

2. ცენტრალური დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

3. ცენტრალური დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. ცენტრალური დეპარტამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 48.

1. საფაკულტეტო დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის კოორდინატორის, კოორდინატორის მოადგილეებისა და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრებისაგან, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის მართვას.

2. საფაკულტეტო დეპარტამენტის კოორდინატორს და მის მოადგილეს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე.

3. საფაკულტეტო დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. საფაკულტეტო დეპარტამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 49.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური დეპარტამენტის სხდომა ტარდება კვირაში ერთელ და მას უძღვება ცენტრალური დეპარტამენტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი - თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

2. ცენტრალური დეპარტამენტის რიგგარეშე სხდომას იწვევს:

ა) ცენტრალური დეპარტამენტის თავმჯდომარე ან რომელიმე მოადგილე თავისი ინიციატივით.

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 50.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო დეპარტამენტის სხდომა ტარდება კვირაში ერთელ და მას უძღვება საფაკულტეტო დეპარტამენტის კოორდინატორი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი - კოორდინატორის ერთ-ერთი მოადგილე.

2. საფაკულტეტო დეპარტამენტის რიგგარეშე სხდომას იწვევს:

ა) საფაკულტეტო დეპარტამენტის კოორდინატორი ან რომელიმე მოადგილე თავისი ინიციატივით.

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი ფაკულტეტის თავმჯდომარე ან რომელიმე მოადგილე, ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მასთან შეთანხმებით რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი.

მუხლი 51.

1. სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი ცენტრალური დეპარტამენტები:

ა) განათლებისა და მეცნიერების;

ბ) კულტურის;

გ) სპორტის;

დ) ტურიზმის.

2. სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი საფაკულტეტო დეპარტამენტები:

ა) განათლებისა და მეცნიერების;

ბ) კულტურის;

გ) სპორტის.

მუხლი 52.

1. განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.

მუხლი 53.

1. კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

მუხლი 54.

1. სპორტის დეპარტამენტი აწყოფს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასვა სახეობებში, თანამშრომლობს თსუ-ის კულტურა და სპორტის დეპარტამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 55.

1. ტურიზმის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო, კანონით ნებადართულ ღონისძიებებს.

თავი XII

სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურები

მუხლი 56.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ორგანიზებისა და უკეთ განხორციელების მიზნით სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს ორი სამსახური:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

2. სტუდენტური თვითმმართველობის სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, მისი მოადგილეებისა და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრებისაგან.

3. სამსახურის უფროსებს, მის მოადგილეებს, ასევე სხვა წევრებს, ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 57.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შედგება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მისი მოადგილეებისა და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრებისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ამოწმებს წინადადებებისა და პროექტების აღსრულებისათვის გათვალისწინებული ხარჯების აუცილებლობას;

ბ) ზედამხედველობს დაფინანსებული წინადადების ან/და პროექტის მიმდინარეობას;

გ) ახორციელებს სამართლებრივ კონტროლს;

დ) ზედამხედველობს დელეგატების მიერ ამ დებულების დაცვას და მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას;

ე) ზედამხედველობს მართვის ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა და ამ დებულების შესრულებას;

ვ) 3 თვეში ერთხელ აწარმოებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის რევიზიას;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფინანსურ და სამართლებრივ კონტროლს, რომელიც არ ეწინააღმდეგება სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;

თ) პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოსა ან/და წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 58.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას საქართველოს ან/და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შედგება ამ სამსახურის უფროსის, მისი მოადგილეებისა და წევრებისაგან, რომელთა უფლებამოსილებაც განისაზღვრება ამ დებულებით.

3. სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის ურთიერთობათა სამსახური:

- ა) თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- ბ) თანამშრომლობს საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;
- გ) თანამშრომლობს თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან;
- დ) გეგმავს ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებებს;
- ე) ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პოპულარიზებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

თავი XIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 59.

1. წინამდებარე დებულება ძალაში შევიდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.

2. ამ დებულების მიღებით გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის 2016 წლის 21 სექტემბერს მიღებული დებულება.

შოთა კეჟერაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

23 იანვარი, 2020 წ.

ქ. თბილისი